რესურსებში რასაკვირველია შედის ტურისტების რეგიონის ეთნოკულტურასთან ზიარება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ეს შემადგენელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აგროტურიზმის შემადგენლობაში ცალკე ქვედარგად განვიხილოთ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, დაიწყო აგროტურიზმის საკმაოდ მაღალი ტემპებით განვითარება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა; საქმე იმაშია, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ამ პერიოდისათვის იწარმოებოდა სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქცია; ფერმერები იძულებულნი იყვნენ ხელოვნურად შეემცირებინათ პროდუქტის წარმოება, რითაც დიდ ზარალს განიცდიდნენ; ნაწილი ფერმერებისა ტოვებდნენ სოფლად

საცხოვრებელ ადგილს და ქალაქში მიეშურებოდნენ (1).

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის მიზნით, ქვეყნის მთავრობებმა შეიმუშავეს რიგი ღონისძიებები, რათა ფერმერებს შეძლებოდათ ძირითადი საქმიანობასთან ერთად ადგილზე დაკავებულიყვნენ სხვა საქმიანობით და დამატებითი შემოსავალი გაჩენოდათ; ერთერთი ასეთი შეთავაზება იყო ფერმებში ქალაქებიდან ისეთი ტურისტების მიღება, რომლებთაც სურდათ დროებით მაინც გაცლოდენ ქალაქის ხმაურიან ცხოვრებას და შედარებით მცირე ბიუჯეტით დაესვენათ სოფელ ადგილას სუფთა ჰაერზე, წყნარ გარემოში, გამოკვებილიყვნენ ადგილობრივი ჯანსაღი პროდუქტით და სურვილისამებრ მიეღოთ მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო საქმეებში. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინებს გადააჭარბა, შემცირდა სოფლად უმუშევრობა და აქედან გამომდინარე ფერმერების გადინება სოფლებიდან, მოიმატა მათმა შემოსავალმა, განვითარდა ტურიზმისათვის საჭირო ადგილობრივი ინფრასტქტურა (1).

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მთავრობებისთვის აგროტურიზმის განვითარებაში პრიორიტეტული იყო დეპრესიული, მთიანი, საზღვრებისპირა რაიონები, რათა გლეხებს-ფერმერებს გაჩენოდათ დამატებითი შემოსავალი, შემცირებულიყო მიგრაცია და სოციალური დაძაბულობა.

დღეისათვის ევროპაში აგროტურიზმით დაკავებულია 2 ათასზე მეტი ტუროპერატორი, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას თავაზობენ მრავალფეროვან პროგრამებს როგორ ოჯახური, ისე ინდივიდუალური ტურის ფარგლებში; აღსანიშნავია, რომ მათ შეძლიათ კლიენტებს შესთავაზონ 2 მილიონზე მეტი საწოლ ადგილი ევროპის სხვადასხვა რეგიონებში.

დღეისათვის აგროტურიზმი შეიძლება განხილული იქნას მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ერთერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად.

აგროტურიზმის განვითარებას ქვეყნების მიხედვით გააჩნიათ გარკვეული თავისებურებები, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დესტინაციაში ხორციელდება ტური; ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ აგროტურიზმის განვითარების იმ ოთხ მოდელს, რომლებიც ევროპაში საკმაოდ გამოკვეთილია და სტრუქტურიზებული.

სწორედ დიდ ბრიტანეთში 1971 წელს ერთერთი დაწესებულების მდივანმა სიუ კოპარდმა ჩამოაყალიბა ორგანიზაცია "გამოსასვლელ დღეები ორგანულ ფერმებში" (WWOOF- Working Weekends On Organic Farms). ამ ორგანიზაციაში გაერთანებული ადამიანები (ორგანიზაცია დღესაც ფუნქციონირებს) დასვენების დღეებში მიდიან ფერმებში და სიამოვნებით ეხმარებიან ადგილობრივ მუშაკებს სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, სამაგიერდ ფერმერებისაგან უფასოდ იღებენ ღამის გასათევს და საკვებს (2).

ზემოთმოყვანილი არის აგროტურიზმის ერთ-ერთი კერძო-ბიუჯეტური ფორმა, სადაც ტურისტი უთავსებს სოფელ ადგილზე დასვენებას და ძირითადი (ქალაქში) შრომისგან განსხვავებულ - ფერმაში მუშაობას.

აგროტურიზმის თანამედროვე, **ბრიტანული** მოდელი ძირითადად წარმოდგენილია სამი სახით: 1. ტურისტი საცხოვრებლად განთავსებულია ფერმერის სახლში და აქვე საუზმობს; ამ შემთხვევაში მას მჭიდრო კონტაქტი აქვს ფერმერის ოჯახთან; 2. ტურისტი ფერმაში ცხოვრობს ცალკე შენობაში, რომელიც წარმოადგენს მოდერნიზებულ, ყოფილ პატარა ბეღელს; 3. 8-5 აგროტურისტი ცხოვრობს ცალკე შენობაში, (ყოფილი დიდი ბეღელი) რომელშიც არის საძინებელი ზონა, სამზარეულო და სველი წერტილები. ეს უკანასკნელი ყველაზე ხელმისაწვდომია და დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდობაში (3).

ბრიტანეთში შეძლებული - VIP ტურისტების განთავსება ხდება ძველ, საგვარეულო ადგილმამულებში, ასევე მათთვის სპეციალურად აშენებულ მინი ოტელებში, ან ტრადიციული სტილით აგებულ სახლებში.

აგროტურიზმის **ფრანგული** მოდელი განსხვავდება ბრიტანულისგან. ფრანგი აგროტურისტები დასვენებისათვის უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ადგილებს, სადაც განვთარებულია მებაღეობა მევენახეობა. ფრანგებს ურჩევნიათ დასვენება ფერმერებისგან განცალკევებით: ხელმოკლე ტურისტები ირჩევენ სოფლის პატარა სახ-

ლებს, შეძლებულები, ვილებს, ან კერძო ისტორიულ სასახლეებს სერტიფიცირებულს აგროტურისტებისთვის (3).

საფრანგეთში ფართოდ არის გავრცელებული აგროტურიზმის სახეობები - გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი; გასტრონომიულის შემთხვევაში, ტურისტები ირჩევენ ისეთ ფერმებს, სადაც შეიძლება საკვების მირთმევა, რომელიც დამზადებულია ადგილობრივი კულინარიული რეცეპტებით და ადგილზე წარმოებული ინგრედიენტებით; ღვინის ტურიზმის დროს ხდება სხვადასხვა მარკის ღვინის დეგუსტაცია, რთველში და ღვინის დაწურვაში მონაწილეობა, ღვინის დამზადების ტექნოლოგიაში გარკვევა, ღვინის ქარხნების მონახულება და სხვა.

იტალია წარმოადგენს ევროპაში აგროტურიზმის განვითარებაში ერთერთ ლიდერს; გასული საუკუნის 80-იან წლებში ევროგაერთიანებაში შემოღებულ იქნა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გასაღებაზე ქვოტირება; შედეგად იტალიური სასოფლო სამეურნეო პროდუქციისათვის შეიზღუდა ევროპის გაერთიანებული ბაზარი; ან იტალიელი ფერმერები უფრო მეტს აწარმოებდნენ, ვიდრე შიდა მოხმარება და ექსპორტის ქვოტა იყო. მწვავედ დადგა პროდუქციის წარმოების შემცირების შედეგად წარმოშობილი უმუშევრობის კომპენსაციის პრობლემა, რომლის გადაჭრა მოხდა აგროტურიზმის განვთარების ხარჯზე. საფრანგეთის მსგავსად, აქაც პოპულარულია ღვინის და გასტრონომიული სპეციალიზირებული სახეობები.

აგროტურისტები ძირითადად განთავსდებიან ფერმერებთან ერთად ოჯახებში, განცალკევებით სახლებში, ან კარვებში აგროფერმების ტერიტორიაზე.

გერმანიაში აგროტურიზმი, ზემოთნახსენები ქვეყნებისგან განსხვავებით, ფინანსურად მხარდაჭერილია მთავრობის მიერ; მთავრობა პირდაპირ აფინანსებს ამ სფეროში მოღვაწე სუბიექტებს. ამასთან ერთად მოქმედებს ირიბი მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამები, რომლებც მიმართულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ. ზოგადად აგროტურისტმა უნდა დაისვენოს სოფელ ადგილას საკმარისი კომფორტულობით, რისთვისაც საჭიროა კარგი გზები, საიმედო ენერგომომარაგება, გაზი, წყალი, მოწესრიგებული სველი წერტილები; ყოველივე ამის გარეშე აგროტურიზმი დაემსგავსება ექსტრემალურს, რომელსაც მართალია თავისი, საკმარისი მიმდევრები ყავს, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს აგროტურისტების მოთხოვნებს.

ევროპაში და დანაჩენ მსოფლიოში არსებობს კიდევ სხვა მოდელები(ამერიკული, ესპანური, ავსტრალიური, აფრიკის საფარი და სხვა), მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი და გამოკვეთილი ჩვენი აზრით, ზემოთგანხილული მოდელებია.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი წინაპირობები არსებობს. მართალია, ჩვენი გლეხობა ჯერჯერობით სახსრების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ როგორც უცხოური გამოცდილება აჩვენებს, აგროტურიზმის განვითარება არ მოითხოვს ერთდროულ, დიდ დაფინანსებას; იგი შეიძლება განვითარდეს თანდათანობით, არსებული მატერიალური რესურსების მოდერნიზაციის ხარჯზე. მთავარია სახელმწიფოსგან საერთო ინფრასტრუქტურის(გზები, ენერგომომარაგება, დენი, წყალი, სკოლები, სოფლის კლუბები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ბაღები, ახალგაზრდული ცენტრები, საზოგადოებრივი ტუალეტები, სოფლის აბანოები და ა.შ.) განვითარებაში დახმარება(ეს ყველაფერი ისედაც ყველა ნორმალური სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა).

აგროტურიზმის განვითარებამ ჩვენს ქვეყანას შეუძლია მოუტანოს ისეთი დადებითი ძვრები როგორიცაა: 1. გაიზრდება სოფელ ადგილებში მოსახლეობის დასაქმება;

2. მოხდება მცირედ დასახლებული სოფლის ტერიტორიების (განსაკუთრებით მთიან და საზღვრისპირა რეგიონებში) აღორძინება; 3. სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; 4. ახალგაზრდობის სოფლად დამაგრება; 5. მოხდება ხალხური ტრადიციების, რეწვის დარგების შენარჩუნება-განვითარება; 6. მოხდება ტრადიციული ღირებულებების და ცხოვრების პროპაგანდა-აღორძინება; 7. მოხდება ტერიტორიების კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

საქართველოში აგროტურიზმი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ჩვენი აზრით, მის ინტენსიურად განვითარებას რამოდენიმე ფაქტორი აფერხებს; ეს ფაქტორებია: სოფელ ადგილებამდე (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში) მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა, მათზე მოსასვენებელი ადგილების, სველი წერტილების, საინფორმაციო ტრაფარეტების სიმცირე, ელმომარაგების, გაზის, წყლის მიწოდების პრობლემები; სოფლებში უნდა არსებობდეს ახალგაზრდული ცენტრები, კაფე-ბარებით, დისკოთეკებით, ბიბლიოთეკები, კულტრის სახლები შესაბამისი წრეებით, სპორტული დარბაზები, ინტერნეტი, მობილური კავშირი, ტელევიზია.

აგროტურისტს გართობაც ჭირდება, მას სურს ეზიაროს ადგილობრივ კულტურას, ამისათვის

სოფლებში უნდა აღორძინდეს სახალხო ცეკვის და სიმღერის კოლექტივები (ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული), სახალხო რეწვის ტრადიციები; ტურისტს საშუალება უნდა ქონდეს ისარგებლოს სოფლის სპორტული დარბაზით, დაესწროს ფოლკლორულ კონცერტებს, შეიძინოს ადგილობრივი სახალხო რეწვის პროდუქცია, სოფლის ან რეგიონალურ ბაზრობაზე, უნდა ეწყობოდეს ფესტივალები, სასოფლო პროდუქციის დეგუსტაცია-გაყიდვა და სხვა.

იმისათვის, რომ ამ ყველაფერს მიეცეს მწყობრი, აღმავალი დინამიკა, საჭიროა შემუშავდეს აგროტურიზმის განვითარების ცალკე კონცეფცია, რაშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი თითოეული რეგიონის პოტენციალი, განვითარების მიმართულებები და რეკომენდაციები. აღნიშნული დაყვანილი უნდა იქნეს თითოეული რეგიონის ხელმძღვანელობამდე, როგორც სამოქმედო გეგმა შესაბამისი დაფინანსებით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგროტურიზმის მთავარი აქტორების - ფერმერების შესაბამის ინფორმირებას, ტრენირებას, მათთვის უფასო სარეკლამო დროის დათმობას, ტუროპერატორების ამ მიმართულებით გადამზადებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Панюков А.И. Агротуризм: История развития и современное состояние. https://cyberleninka.ru/article/n/agroturizm-sovremennoe-sostoyanie-i-perspektivy-razvitiya

2.Столповский Ю.А. Агротуризм. https://www.slideshare.net/Chernozem21/ss-30707852.

3.Лысяков В. Модели организации сельского туризма. https://studfiles.net/preview/5410944/